განმეორებითი კენჭისყრის დღის დაკვირვების შედეგები 14:00 საათისთვის

კენჭისყრის პროცესი მიმდინარეობს ძირითადად მშვიდ ვითარებაში. თითქმის ყველა საარჩევნო უბანი, სადაც საია აკვირდებოდა გახსნის პროცედურებს, დროულად იყო მზად პირველი ამომრჩევლის მისაღებად. აღნიშნული უბნები აღჭურვილი იყო შესაბამისი საარჩევნო მასალებით. აღსანიშნავია, რომ უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე მობილიზებული არიან შსს წარმომადგენლები. 8 ოქტომბრის გამოცდილების გათვალისწინებით, აღნიშნული ზომების მიღება პრევენციული მიზნით გონივრულია.

ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა

მარნეულის #48 უბანზე დაფიქსირდა ხმის მიცემის ფარულობის დარღვევის ფაქტი,

ვინაიდან უბანზე მისული პირველი ამომრჩეველი არ შევიდა საარჩევნო კაბინაში, მაგიდაზე გააკეთა არჩევანი და ისე ჩააგდო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში. ამომრჩევლის განმარტებით, ვინაიდან საარჩევნო უბანზე ხალხმრავლობა იყო, ვერ დაელოდებოდა, სანამ მოახერხებდა საარჩევნო კაბინამდე მისვლას.

კომისიის წევრთა მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება

მარნეულის #48 უბანზე გადასატანი ყუთის სია შედგენილი იყო კანონის მოთხოვნების დარღვევით (მუხლი 33.5) კერძოდ, გადასატანი ყუთის სიის საჯარო ვერსიაში არ იყო შეტანილი ამომრჩევლის იგივე მონაცემები, რომელიც არის ამომრჩეველთა ერთიან სიაში. კერძოდ, გამოტოვებული იყო (დაბადების წელი, ამომრჩევლის რიგითი ნომერი ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში). აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საიას დამკვირვებელმა საჩივარი დაწერა. საჩივრის დაწერის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისია შეეცადა დარღვევის გამოსწორებას და გადასატანი ყუთის სიის საჯარო ვერსიაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანა.

მარნეულის #48 უბანზე პირველი ამომრჩევლის მოსვლის დროს საუბნო კომისიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული დილის 7 სთ-დან 8 საათამდე ჩასატარებელი პროცედურები (მაგალითად, პირველი ამომრჩევლის მოსვლისას უბანზე, რეგისტრატორებს არ ჰქონდათ გადაცემული ბიულეტენები და ბეჭდები.) საარჩევნო კომისიამ ეს ხარვეზი ახსნა უბანზე მყოფი დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენელთა სიმრავლით და ამის გამო შექმნილი დაძაბულობითა და კომისიის წევრთა დაბნეულობით.

კენჭისყრის შენობის მოწყობა

აღსანიშნავია, რომ მარნეულის #48 სარჩევნო უბანზე ფიქსირდება კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა სიმრავლე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კენჭისყრის ოთახი მცირე მოცულობისაა და უბანზე მყოფ პირებს ხალხმრავლობის გამო, არ არის სათანადო სამუშაო პირობები.

დილის 7 საათიდან ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა ზუგდიდის #79-ე და #108-ე უბნებს, რასაც არ მოუხდენია გავლენა წილისყრის და სხვა პროცედურების წარმართვაზე. ელექტროენერგიის მიწოდება ორივე უბანზე დაახლოებით ერთ საათში აღდგა. საუბნო საარჩევნო კომისიების განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ხმის დათვლისას ელექტოენერგიის მიწოდების მხრივ უბნებზე პრობლემა იქნება, ისინი გენერატორით არიან უზრუნველყოფილი.

სხვა საკითხები

განსხვავებით 2016 წლის 8 ოქტომბრის კენჭისყრის დღისა, Ḍ□□□□□□ ნაციონალური მოძრაობის □ მიერ საარჩევნო უბანზე დანიშნულმა კომისიის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს გადასატანი ყუთის გამყოლი კომისიის წევრის ფუნქციის გამოსავლენად ჩატარებულ წილისყრაში, ასევე ამ ფუნქციის გამოვლენისას, გაჰყვნენ გადასატან ყუთებს. აღსანიშნავია, რომ 8 ოქტომბერს ამ პარტიის მიერ დანიშნულმა საუბნო კომისიის წევრებმა მასობრივად პროტესტი გამოთქვეს და არ მიიღეს მონაწილეობა აღნიშნულ წილისყრაში, ან პირიქით, მიიღეს, თუმცა გადასატან საარჩევნო ყუთის გაყოლაზე შემდგომ უარი განაცხადეს. ვინაიდან ჩვენი მოსაზრებით საარჩევნო კომისიის წევრის მხრიდან მსგავსი ქმედება საარჩევნო კომისიის წევრის მოვალეობის შეუსრულებლობას წარმოადგენდა, საიას დამკვირვებლებმა ასეთ შემთხვევებში საჩივრები წარადგინეს ზემდგომ საარჩევნო კომისიებში და შესაბამის პირთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მოითხოვეს. აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, აღნიშნულ პირთა მიმართ ზემდგომი საარჩევნო კომისიების მხრიდან გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. ასევე სასამართლოებმაც განმარტეს, რომ კომისიის წევრის მხრიდან წილისყრის პროცედურაში მონაწილეობაზე უარი კომისიის წევრის ვალდებულების შეუსრულებლობას წარმოადგენდა.

როგორც მარნეულში, ასევე ზუგდიდის საარჩევნო უბნებზე იმყოფებიან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები, ისინი ეხმარებიან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს მუშაობაში, აძლევენ მითითებებს და ცდილობენ საარჩევნო პროცედურები კანონის მოთხოვნების დაცვით წარიმართოს. რასაკვირველია უმჯობესია, რომ საუბნო კომისიებს არ სჭირდებოდეთ ზემდგომი საარჩევნო ადმინისტრაციების დახმარება, თუმცა

ასეთის საჭიროების შემთხვევაში, ზემდგომმა საარჩევნო ადმინისტრაციებმა უნდა მიიღონ ზომები მათი კომპეტენციის ფარგლებში კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად.

- **დროისთვის ზემოთ აღნიშნულ დარღვევებზე საიას დამკვირვებლებმა 2 საჩივარი წარადგინეს (ერთსადაიმავე დარღვევაზე უბანზე და ოლქში) და 2 შენიშვნა დააფიქსირეს ჩანაწერთა წიგნში მარნეულის საარჩევნო უბანზე.**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების განმეორებით კენჭისყრას ორი საარჩევნო ოლქის ოთხ საარჩევნო უბანზე დააკვირდება. ორგანიზაციის წარმომადგენლები დააკვირდებიან მაჟორიტარულ არჩევნებს, რომელიც გაიმართება №36 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №36.22.48 საარჩევნო უბანზე (მარნეული), ასევე №66 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №66.67.38, №66.67.79 და №66.67.108 საარჩევნო უბნებზე (ზუგდიდი), სადაც გაიმართება როგორც პარლამენტის მაჟორიტარული, ისე გამგებლის არჩევნები.

საია დაფუძნების დღიდან (1994 წელი) აქტიურად აკვირდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს და ცდილობს ხელი შეუწყოს არჩევნების მშვიდ, სამართლიან გარემოში ჩატარებას, საარჩევნო პროცესების დროს საქართველოს კანონმდებლობის განუხრელ დაცვას.

არჩევნების დღის დაკვირვების მიმდინარეობის თაობაზე საია დღის განმავლობაში კიდევ ერთ ბრიფინგს გამართავს არასამთავრობო ორგანიზაციათა მედია-ცენტრში (მისამართი: თავისუფლების მოედანი #1). მომდევნო ბრიფინგი გაიმართება: 21:00 საათზე.

საიას საპარლამენტო არჩევნების განმეორებითი კენჭისყრის დღის მონიტორინგის მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა დიდი ბრიტანეთის სამეფოს საელჩოს, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს, შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ფონდი Ḍ□□□ საზოგადოება - საქართველოს □ დაფინანსებით. განცხადებაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას □ და მისი შინაარსი შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციების შეხედულებებს.